ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 595 71 02 00

N 17
29/05/2020

17-08-4-202005291649

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ნოემბრის N53 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის მე-15 კილომეტრიდან მე-18 კმ-ის ჩათვლით საავტომობილო გზის მონაკვეთისთვის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ფარცხმის ქ. N1) კალისტრატე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

შეტანილი იქნას ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ნოემბრის N53 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის მე-15 კილომეტრიდან მე-18 კმ-ის ჩათვლით საავტომობილო გზის მონაკვეთისთვის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ფარცხმის ქ. N1) კალისტრატე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ და განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის მე-

15 კილომეტრიდან მე-18 კმ-ის ჩათვლით საავტომობილო გზის მონაკვეთისთვის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ზემო ფარცხმის ქ. N1) კალისტრატე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

მუხლი 2.

განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო- ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის მე-15 კილომეტრიდან მე-18 კმ-ის ჩათვლით საავტომობილო გზის მონაკვეთს (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ.ზემო ფარცხმის ქ. N1) მიენიჭოს კალისტრატე ცინცაძის სახელი თანდართული რუკის თანახმად;

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 4 .

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა